საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მინისტრის N01-260/ო ბრძანების თანახმად „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების“ სისტემისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების ინტეგრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი #11

თბილისი, IT, XVI **07.10.2015წ.**
17:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

<u>გია ჯღარკავა</u> - პროექტის მენეჯერი. სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სხდომას ესწრებოდნენ:

<u>ირაკლი ტაბატაძე</u> - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი

<u>ნიკოლაი მუსატოვი</u> - EMC, ტექნიკური კონსულტანტი

<u>ალექსანდრე ლახტინი</u> - EMC, სისტემური არქიტექტორი

<u>სალომე ხუტაშვილი</u> - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

<u>ვაჟა ეზუგბაია</u> - HSSP პროექტის მთავარი სისტემური დეველოპერი

<u>თათა კობახიძე</u> - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სპეციალისტი

<u>ზურა დალაქიშვილი</u> - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი

„ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ელექტრონული სისტემის დანერგვის და საყოველთაო ჯანდაცვის მართვის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრაციის განხორციელებისა და დანერგვის შესახებ პროექტის ფარგლებში განისაზღვრა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საპროექტო ტექნიკური სპეციალისტებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის საკითხები და ინტეგრაციის კონკრეტული თემები.

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის (**IT**) წარმომადგენელმა (**გია ჯღარკავა**) წამოჭრა საკითხი თუ ვის უნდა გაეწია ინტეგრაციის მოდულის ტექნიკური უზრუნველყოფა, რაზეც შეხვედრის მონაწილეებს ჰქონდათ სხვადასხვა მოსაზრება. დამსწრეებიდან **IT**-ის, **HSSP**-ისა და **EMC**-ის წარმომადგენლებს ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ, რომ ეს იყო SSA-ს პრეროგატივა. სხდომის წევრებისგან განსხვავებით სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან (**ირაკლი ტაბატაძე**) თვლიდა, რომ ეს თემა სამინისტროს მიერ უნდა ყოფილიყო განხორციელებული. დისკუსიის დეტალიზირდა ინტეგრაციის მოდულის რაობა და ფუნქციონალი, რის შედეგადაც ყველა მონაწილე შეთანხმდა, რომ ინტეგრაციის მოდულის HSSP-ის ნაწილს უნდა გაუწიოს მხარდაჭერა SSA-მ, ხოლო EMR-ის ნაწილს სამინისტრომ.

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა (**ირაკლი ტაბატაძე**) გამოთქვა აზრი, რომ კლინიკებს აქვთ შესაძლებლობა პაციენტის ქეისის დახურვის განსხვავებულ შემთხვევებზე სხვადასხვა დროის მონაკვეთში (როგორც 24 საათში ასევე 72 საათში). ასევე გაირკვა, რომ ქეისის დახურვის შემდგომ არის საშუალება მისი რედაქტირების, რითაც კლინიკებისთვის მოგვიანებითაც ხელმისაწვდომია დიაგნოზისა და სხვა მომსახურების დამატება. ეს ყველაფერი კი რეპორტინგში აღარ აისახება და გარკვეულ შეკითხვებს აჩენს. საკითხის დასაზუსტებლად წევრებმა მოიწვიეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლები (**თათა კობახიძე, ზურა დალაქიშვილი**)

3. პროექტის ბიზნეს პროცესთან დაკავშირებით **ირაკლი ტაბატაძეს** ჰქონდა გარკვეული შეკითხვები, რომელი თემებიც არ იყო მიმდინარე შეხვედრის დღის წესრიგში გათვალისწინებული. **EMC**-ის მხრიდან დამსწრე **ალექსანდრე ლახტინმა** აღნიშნა, რომ ამაზე პასუხებს მოიცავს პროექტის სამუშაო წესდება, ტექნიკური დავალება, ფუნქციური ანალიზისა და სისტემური არქიტექტურის დოკუმენტები (ინგლისურ ენაზე). ირაკლი ტაბატაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ენის ბარიერის პრობლემა და პროექტის დოკუმენტაციის ქართულ ენაზე არსებობის მოთხოვნა. **ალექსანდრე ლახტინმა** აღნიშნულზე გამოთქვა მზაობა EMC-ის მხრიდან მოხდეს პროექტის დოკუმენტაციის სრულ თარგმანში ჩართულობა.

4. შეხვედრა დაგეგმილზე ადრე შეწყდა სააგენტოს წარმომადგენლის მოუცლელობის გამო.

EMR პროექტის მენეჯერი

გიორგი ჯღარკავა